

FS55



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. იანვრის 13

№ 2

თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

- 10. აქარის და აფხაზეთის ასსრ მიწსახეობების და მშრომელთა დებუტატების სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების სტრუქტურის შესახებ.
- 11. 1940 წელს კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების თავის დროზე შედგენისა და მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
- 12. ქართლის რაიონებში ხეხილის ბაღების გაშენების, მათი გულმოდგინედ მოვლის და მანებ-ლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

- 13. საქართველოს სსრ ჯანსაზღვრის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს მოწყობის შესახებ.
- 14. 1941 წელს ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების ვადების შესახებ.
- 15. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.





სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

10. აჭარის და აფხაზეთის ასსრ მიწსახკომების და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის სამიწათმოქმედლო განყოფილების სტრუქტურის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. რეორგანიზებული იქნას აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის სამიწათმოქმედლო განყოფილების აპარატი საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით.

ამასთან დაკავშირებით დაწესდეს შემდეგი სტრუქტურა:

აჭარის ასსრ მიწსახკომისათვის:

1. საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო,
2. მეცხოველეობის სამმართველო,
3. ვეტერინარული სამმართველო,
4. საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილება,
5. ინსპექტორი კადრების შერჩევისა და მომზადების დარგში,
6. საგემო საფინანსო განყოფილება,
7. ეკონომისტი აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგში,
8. მიწათმოწყობის სამმართველო,
9. ინსპექტორი სამხედრო მუშაობის დარგში,
10. საქმეთა მმართველობა.

აფხაზეთის ასსრ მიწსახკომისათვის:

1. საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო,
2. მეცხოველეობის სამმართველო,
3. ვეტერინარული სამმართველო,
4. მიწათმოწყობის სამმართველო,
5. საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილება,
6. საგემო-საფინანსო განყოფილება,
7. ეკონომისტი აღრიცხვის დარგში,
8. ინსპექტორი კადრების შერჩევისა და მომზადების დარგში,
9. ინსპექტორი სამხედრო მუშაობის დარგში,
10. საქმეთა მმართველობა.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სამიწათმოქმედლო განყოფილებისათვის:

1. საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო,
2. მეცხოველეობის სამმართველო,

3. ვეტერინარული სამმართველო,
4. საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილება,
5. საგვემო-საფინანსო განყოფილება,
6. მიწათმოწყობის განყოფილება,
7. ინსპექტორი კადრების შერჩევისა და მომზადების დარგში,
8. ეკონომისტი აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგში,
9. ინსპექტორი სამხედრო მუშაობის დარგში,
10. საქმეთა მმართველობა.

2. დამტკიცდეს ცენტრალური აპარატის საშტატო ერთეულთა შემდეგი რაოდენობა:

აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის—45 ერთეული, აქედან სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტი—17 კაცი; აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის—39 ერთეული, აქედან სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტი—17 კაცი; სამარეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სამიწათმოქმედო განყოფილებისათვის—32 ერთეული, აქედან სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტი—12 კაცი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე

ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

კ. შეროზია.

1940 წ. დეკემბრის 21. № 2636.
 თბილისი.

11. 1940 წელს კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების თავის დროზე შედგენისა და მოხაზვის და შემოხაზვის სწორად განაწილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ 1939 წელში მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობათა მიერ დაშვებულია დიდი შეცდომები შემოსავლის განაწილებისა და წლიური ანგარიშების შედგენის საქმეში.

ბევრ კოლმეურნეობაში მეტისმეტად გაჭიანურდა შემოსავლის საბოლოოდ განაწილება; მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ გამოუყვიათ სადაზღვევო სათესლე და საფურაჟე ფონდები; მოსავლის ბრიგადული აღრიცხვის უქონლობის შედეგად არ მომხდარა იმ ბრიგადების წახალისება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მოსავლიანობის მხრივ და შრომა-დღეების ჩამოწერა იმ ბრიგადებისაგან, რომლებმაც მოსავლის დაბალი მაჩვენებლები მოგვცეს; ადგილი ჰქონდა აგრეთვე ზოგიერთი კოლმეურნისათვის ზედმეტი ავანსების მიცემას იმ დროს, როდესაც ზოგიერთს აკლებდნენ შრომა-დღეების მიხედვით ხვედრ პროდუქტებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაშვებული იყო თანხების დიდძალი გაღება-ხარჯვა საწარმოო და ადმინისტრაციულ-სამმართველო საქიროებისათვის, აგრეთვე ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-12 მუხლი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება განუყოფელი ფონდების შესავსებად ფულადი შემოსავლიდან ანარიცხების ოდენობას; ზოგიერთ რაიონში აღგილი ჰქონდა დიდ სადებიტორო დავალიანებას, რამაც გამოიწვია კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ფაქტიური განაწილების ვაჭიანურება.

ბაშკირეთის, ტყიბულის, გეგეჭკორის, ვანის და წითელწყაროს რაიონებში წლიური ანგარიშების შედგენა დიდი დაგვიანებით ჩატარდა. ონისა და აბაშის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში წლიური ანგარიშები დამტკიცებულ იქნა კოლმეურნეთა არაკანონიერ კრებებზე (ესწრებოდა კოლმეურნეთა ორ მესამედზე ნაკლები), ხოლო თბილისის, ლენინგორისა და ბორჩალოს რაიონებში შედგენილი წლიური ანგარიშები კუდი ხარისხისა იყო.

ვანის რაიონში მიმდინარე წლის მოსავლის წინასწარი განაწილების მიმდინარეობის შემოწმებამ გამოავლინა, რომ იქ უხეშად ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება კოლმეურნეობათა შემოსავლისა და მოსავლის განაწილების ნაწილში და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 1 აგვისტოს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 20, მუხ. 483).

შემოსავლის სწორად განაწილებისა და კოლმეურნეობებში 1940 წლის წლიური ანგარიშების თავის დროზე შედგენის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ შემოსავლის საბოლოოდ განაწილება, წლიური ანგარიშების შედგენა თვითივე კოლმეურნეობაში, და კოლმეურნე ტრაქტორისტებისათვის შრომადღებების მიხედვით ხვედრი პროდუქტებისა და ფულის მიცემა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1940 წლის 1 აგვისტოს „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ“ მიღებული დადგენილების მტკიცე შესაბამისობით, იმ რიგათ რომ წლიური ანგარიშების შედგენა, მათი დამტკიცება საერთო კრებებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა მთელი რიცხვის ორი მესამედი მაინც უნდა ესწრებოდეს და შემოსავლის საბოლოოდ განაწილება დაამთავრონ არაუგვიანეს 1941 წლის 20 იანვრისა.

ბ) გულმოდგინედ მოამზადონ კოლმეურნეთა კრებები წლიური ანგარიშების განსახილველად; უზრუნველყონ, რომ ამ კრებებს დაესწროს რაიონის ერთ-

ერთი ხელმძღვანელი მუშაკი (საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანი, მშრომელთა დემოკრატიული კავშირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რაიმიწვანის გამგე, მტს-ის დირექტორი და სხვ.).

2. კოლმეურნობათა შემოსავლის საბოლოოდ განაწილების, წლიური ანგარიშების შედგენისა და დამტკიცების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ:

ა) ყველა კოლმეურნობამ სავსებით შეასრულოს თავისი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;

ბ) შეიქმნას სათესლე, საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივი ფონდები, რაც დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ“;

გ) უზრუნველყოფილ იქნას ანარიცხები კოლმეურნობათა განუყოფელი ფონდების შესავსებად მარცვლეული რაიონების კოლმეურნობებში—სასოფლო-სამეურნეო არტელის ფულადი შემოსავლის არანაკლებ 12 და არაუმეტეს 15%-სა, ხოლო ტექნიკური კულტურების და მეცხოველეობის რაიონების კოლმეურნობებში—არანაკლებ 15%-სა და არაუმეტეს 20%-სა.

კოლმეურნობათა გამგეობებმა აღადგინონ განუყოფელ ფონდებში 1938 და 1939 წლების მანძილზე შეუტანელი სახსრები შემდეგი ოდენობით: ნახევარი—1940 წლის შემოსავლიდან და დანარჩენი ნაწილი—1941 წლის შემოსავლიდან;

ე) კოლმეურნობებმა შეიტანონ განუყოფელი ფონდების ფულადი სახსრები სასოფლო-სამეურნეო ბანკში კაპიტალდაბანდებათა ანგარიშზე;

ვ) კოლმეურნობებმა სავსებით მოახდინონ სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაცია;

ზ) სწორად მოხდეს შრომა-დღეების დარიცხვა და მიეცეს კოლმეურნებს პარტიისა და მთავრობის სპეციალური დადგენილებებით გათვალისწინებული პრემიები;

თ) სარევიზიო კომისიებმა ჩაატარონ კოლმეურნობათა 1940 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის სრული რევიზია და მისცენ დასკვნები კოლმეურნობათა წლიური ანგარიშების გამო.

3. დაევალოს მშრომელთა დემოკრატიული რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს განიხილონ და დამტკიცონ აღმასკომის სხდომებზე კოლმეურნეთა საერთო კრებების დადგენილებანი 1940 წლის შემოსავლის განაწილების შესახებ, ამასთან უზრუნველყოფონ კოლმეურნობათა განუყოფელ ფონდებში ანარიცხების დაწესებული ნორმების, აგრეთვე თვითეულ კოლმეურნობაში ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილების წესის მტკიცედ დაცვა.

4. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დემოკრატიული რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტე-

ტების თავმჯდომარეებს პირადად გაუწიონ ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებისა და წლიური ანგარიშების შედგენის საქმეს, ამასთან კოლმეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად შიამგრონ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და აგრეთვე საანგარიშო დარგის მუშაკები.

5. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს განიხილონ რაიკომის ბიუროს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების სხდომებზე კოლმეურნეობათა 1940 წლის სამეურნეო-საფინანსო მუშაობის შედეგები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ცალკე თვითეული კოლმეურნეობისათვის.

6. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიმიწვანებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს და სარევიზიო კომისიებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ კოლმეურნეობათა ნატურალური ფულადი ფონდების სწორად შენახვას და გამოყენებას, ამასთან არ დაუშვან მათი განიკლება, გაფუჭება ან არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების განხილვა და მიღება რაიმიწვანების გამგეების მონაწილეობით და 1941 წლის 5 მაისისათვის დაამთავრონ კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების სრული დამუშავება.

8. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების თავმჯდომარეებს მოაწყონ კოლმეურნეობათა 1941 წლის საწარმოო გეგმებისა და შეოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო გეგმების შედგენას, საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების სწორად დაკომპლექტებას, ნაკვეთების მიმავრებას მათზე და გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა თავის დროზე დამტკიცებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე

ვ. ზაქარაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

ქ. ჩარკვიანი.

1940 წ. დეკემბრის 21. № 2639.

თბილისი.

12. ქართლის რაიონებში ხეხილის ბაღების გაშენების, მათი გულმოდგინედ მოვლისა და მანგებლვებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ხეხილის ბაღები ქართლის რაიონებში, განსაკუთრებით გორის, თბილისისა და მცხეთის რაიონებში, ცუდი მოვლის გამო არადაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ბევრ კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა აგროწესები, სუსტად ან სრულად აღიარებულია არ ტარდება ისეთი ძირითადი ღონისძიებანი ხეხილის ბაღების მოვლის დარგში, როგორც გასხვლა, მწკრივთაშორის ხენა, ხეების ტანისირგვლივი წრეების გადაბარვა, შტამბის გასუფთავება და შეთეთრება, ბაღების შემოღობვა და დაცვა პირუტყვისაგან, სასუქის შეტანა და სხვ.

ხეხილის ბაღების მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის სავსებით არადაამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგად აღგილი აქვს რგოლური აბრეშუმქსოვის, ოქროკუდას, ვაშლის ჩრჩილის და სხვ. მასობრივ გავრცელებას, რამაც გამოიწვია 1940 წელს ხეხილის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვა.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოკვეთულია, რომ საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებში, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებში და აგრეთვე რაიმიწვანებში და მტს-ებში ჯერ კიდევ სათანადო დასკვნები არ გამოიტანეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 15 ოქტომბრის დადგენილებიდან „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ და არ უზრუნველჰყვეს მეხილეობის დარგში მუშაობის სერიოზული გარდატეხა.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდის ღონისძიებანი ბაღების მოვლისა და მკურნალობის დარგში წინანდებურად უაღრესად არადაამაკმაყოფილებლად ტარდება. თბილისის რაიონში დაწყებული არ არის ბაღების შეწამვლა რკინის აჯასპით; გორის რაიონში მავნებელთა ბუდეების შეგროვება ჩატარებულია მხოლოდ 800 ჰექტარის ფართობზე, ნაცვლად 4.000 ჰექტარისა (20%), რკინის აჯასპი შესრულებულია 200 ჰექტარის ფართობზე, ნაცვლად 1300 ჰექტარისა, ხოლო შტამბები შემოგლეხილია სრულიად უმნიშვნელო ფართობზე; მცხეთის რაიონში ხეხილის ბაღების მკურნალობა და გასუფთავება ჯერ კიდევ დაწყებული არ არის.

ქართლის თითქმის ყველა რაიონში ჭიანჭურდება ტანისირგვლივი წრეების გადაბარვა.

ხეხილის ბაღების გაშენებისა და მოვლის საქმის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ქართლის რაიონების პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რაიმიწვანების გამგეებს, მტს-ების და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

I. ხეხილის ბაღების გაშენების დარგში

1. ტრაქტორით დამუშავების უზრუნველსაყოფად ხეხილის ბაღების გაშენებისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე ჩატარდეს ნიადაგის გასუფთავება ჯაგნარისა და ქვებისაგან და ორმოების მოსწორება.

2. ჩატარდეს ნაკვეთების სწორი დაყოფა კვარტალებად, ამასთან გათვალისწინებულ იქნას ტერიტორიის ნაწილის დატოვება გზებისათვის და აგრეთვე ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობეების გაშენებისათვის.

3. ხეხილის ნარგავებისათვის ნიადაგის მომზადებისა და გაშენების დროს უზრუნველყოფილ იქნას ვაკე ფართობების მთლიანად გადახვნა სიღრმით არა ნაკლებ 25 სანტიმეტრისა და ამის შემდეგ ორმოების ამოღება 1 მეტრის სიღრმით და სიღრმით არა ნაკლებ 50 სანტიმეტრისა.

ფერღობებზე, სადაც ხეხილის დასარგავად მიზანშეწონილი არ არის ნიადაგის მთლიანად დამუშავების ჩატარება, ორმოები ამოღებულ იქნას $1\frac{1}{2}$ მეტრის სიღრმისა და სიღრმით არა ნაკლებ 60 სანტიმეტრისა.

4. ხეხილის ნერგების დარგვასთან ერთად თვითეულ ორმოში შეტანილ იქნას ვადამწვარი ნაკელი სულ ცოტა 10 კილოგრამის რაოდენობით.

5. ნაკვეთების გადახვნა საშემოდგომო გაშენებისათვის დამთავრდეს 1 სექტემბერს, ხოლო საგაზაფხულო გაშენებისათვის 15 დეკემბრამდე. ორმოების ამოღება დამთავრდეს $1\frac{1}{2}$ თვით აღრე დარგვამდე.

6. ხეხილის დარგვისას დაცულ იქნას ერთმანეთს შორის შემდეგი მანძილი: ვაშლის—10 მეტრი, მსხლის, კომშის, ქლიავის, გარგარის, ნუშის, ბლისა და ლეღვის—8 მეტრი, ატმისა და ალუბლის—5 მეტრი, იმ ანგარიშით, რომ კვადრატული წესით დარგვისას 1 ჰექტარზე იყოს 100 ძირი ვაშლი, 160 ძირი მსხალი, კომში და, ყველა კურკოვანი (გარდა ატმისა და ალუბლისა) და 400 ძირი ატამი და ალუბალი.

7. ხეხილის ჩაყრა გაზაფხულზე დამთავრდეს 15 აპრილამდე, ხოლო შემოდგომაზე—15 დეკემბრამდე. დარგვისთანავე უზრუნველყოფილ იქნას ხეხილის მორწყვა, დარგული ხეების შემოწმება, გაშიწვლებული ფესვებისათვის მიწის შემოყრა და ნარგავების სარებზე ახვევა.

8. 1941 წლის დამლევამდე დამთავრებულ იქნას ყველა ხეხილის ბალის შემოღობვა და კატეგორიულად აიკრძალოს პირუტყვის შეშვება ხეხილის ნარგავებში.


გარდა დროებითი ღობეების მოწყობისა, ხეხილის ბალების გარშემო გაშენდეს მუდმივი ცოცხალი ღობეები, გლედიჩის, ფშატის, თუთის, ბროწეულისა და სხვ. გაშენებით.

9. დაწესდეს, რომ შემდეგში ცოცხალი ღობეები უნდა გაშენდეს ხეხილის ახალი ნარგავების გაშენებასთან ერთად.

10. ხეხილის ნარგავების დარგვის სამუშაოთა ჩასატარებლად გამოიყოს ამ საქმეში ყველაზე უფრო გამოცდილი კოლმეურნეები.

II. ხეხილის ბალების მოვლის დარგში

1. 1941 წლის 15 აპრილამდე ჩატარდეს მწყრივთაშორისების მოხვნა 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე და ხეების ტანისირგვლივი წრეების გადაბარვა ხეხილის ბალების მთელს ფართობზე.



ამასთანავე ერთად შეტანილ იქნას ნაკელი თვითეულ ხეზე მსხმოიარობის ასაკში შესვლამდე 50-100 კილოგრამი, ხოლო მსხმოიარობის ასაკში შესული ხისათვის 100-150 კილოგრამი. ნაკელის შეტანის ნორმები დიფერენცირებული იქნას ხის მდგომარეობის, ასაკისა და კულტურის მიხედვით.

2. შეტანილ იქნას პირველ მაისამდე მინერალური სასუქები თითო ხეზე შემდეგი რაოდენობით:

ა) ახალგაზრდა არამსხმოიარე ბაღებში: სულფატამონიუმი—3 კგრ., სუპერფოსფატი—4 კგრ., კალიუმის მარილი—1,5 კგრ.;

ბ) მსხმოიარე ბაღებში: სულფატამონიუმი—5 კგრ., სუპერფოსფატი—6 კგრ., კალიუმის მარილი—2,5 კგრ.;

3. ბაღების რწყვა სწარმოებდეს 3-4-ჯერ (15 აგვისტომდე) წინასწარ მოზადებული სარწყავი კვლების საშუალებით და რწყვის შემდეგ ყოველთვის მოხდეს ტანისირგვლივი წრეების გაფხვიერება.

4. ახალგაზრდა ხეხილის ბაღების მწკრივთაშორისები გამოყენებული იქნას პარკოსანი კულტურების (ლობიოს, ცერცვის), საკვები ბალახების (ესპარცეტის, იონჯის, სამყურას) და სათოხნი კულტურების (სიმინდის, კარტოფილის, ჭარბლის) მოსაყვანად და აიკრძალოს თავთავიანი მარცვლეული კულტურების, კომბოსტოს, პამიდორის, კიტრისა და სხვა იმ კულტურების დათესვა, რომლებიც სწავრავენ ხეხილს და ხშირ რწყვას საჭიროებენ.

5. ახლად დარგული ხეების სწორად და თავის დროზე დაყალიბებით მიღწეულ იქნას მათი მსხმოიარობის ასაკში ადრე შესვლა და ტოტებისა და ყლორტების თანაბარი განლაგება.

6. 1941 წლის აპრილამდე ჩატარდეს კრონის სხვა ბაღების მთელ ფართობზე, და აგრეთვე ხმელი, დაავადებული და ზედმეტი ტოტების და ყლორტების მოცილება.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიტანოს მტს-ების საწარმოო გეგმებში კოლმეურნეობათა ხეხილის ბაღების მომსახურება (მწკრივთაშორისების დამუშავება და მკურნალობა).

III. ხეხილის ბაღების ავადმყოფობასთან და მავნებლებთან ბრძოლის დარგში

1. ხეხილის ბაღების დაავადების ლიკვიდაციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეთა მასობრივი გამოსვლა ხეხილის ბაღების მავნებლებთან საბრძოლოვლად და ჩატარდეს როგორც ქიმიური ღონისძიებანი, ისე მავნებლების ხელით შეგროვება.

ამ მიზნით დაუყოვნებლივ მოეწყოს ნაცვენის, ფოთლების და დამპალი ნაყოფის შეგროვება, აგრეთვე ბაღების გასუფთავება ოქროკუდას ზამთრის ბუდეებისა და რგოლური და არაფარდი აბრეშუმქსოვის კვერცხებისაგან და მათი აუცილებლად დაწვა.

2. ხავსით და მღიერით დაავადებულ ბაღებში ჩატარდეს პირველ შესუტება რკინის აჯასპით ყინვების დაწყებამდე (-1°) და მეორე—ადრე გაზაფხულზე, კვირტების გაშლამდე.



3. დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას და ყინვების დადგომამდე დამთავრდეს გორის რაიონში კალიფორნიის ფარიანას გავრცელების ზონაში, ყველა კულტურული ნარგავის, გარეული ნარგავისა და ჯავანარების მინერალური ზეთის ემულსიით შეწამვლა.

მეორე შეწამვლა მინერალური ზეთის ემულსიით ჩატარდეს ადრე გაზაფხულზე ნარგავთა კვირტების გაშლამდე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დეკადის ვადაში შეამოწმოს, როგორ მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის აპარატურის რემონტი, როგორც მტს-ებში, ისე კოლმეურნეობებში და მიიღოს საჭირო ზომები, რათა თავის დროზე და ხარისხოვნად დამთავრდეს აღნიშნული აპარატურის რემონტი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველშეყოს ქართლის რაიონები აუცილებელი ქიმიკატებით და შხამმასალეებით, აგრეთვე მიავლინოს რაიონების დასახმარებლად სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სპეციალისტები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. შეროზია.

1940 წ. დეკემბრის 20. № 2644.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

13. საქართველოს სსრ ჯანსაჩქომის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველო შემდეგი ჯგუფებით:

- ა) საქალაქო სამკურნალო დაწესებულებათა ჯგუფი და
- ბ) სასოფლო-სამკურნალო დაწესებულებათა ჯგუფი.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით, გაუქმდეს შემდეგი განყოფილებანი:

- ა) საქალაქო საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების განყოფილება;
- ბ) სასოფლო საავადმყოფოებისა და საექიმო უბნების განყოფილება;
- გ) სპეციალური სახის სამკურნალო დახმარების განყოფილება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 20. № 2621.
თბილისი.



14. 1941 წელს ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების ვადის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაგრძელდეს 1941 წელს ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების ვადა 1941 წლის 1 თებერვლამდე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 23. № 2638.
თბილისი.

15. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვ. ბ. გოგუა—სახალხო კომისარი,
2. ბ. გ. ბერაძე—სახალხო კომისარის მოადგილე,
3. მ. ი. გულუა—კომუნალური სამმართველოს უფროსი,
4. ვ. ნ. მარგველაშვილი—„საქმომარაგების“ მმართველი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 26. № 2679.
თბილისი.

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ბელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

№ 2



ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ზერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი, აკომუნისტი. თბილისი, ლენინის ქ. № 28